ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1023346

ნომერი: AR1178702

თარიღი : 19.11.2013

გაცემის თარიღი : 04.12.2013

გაცნობის თარიღი : 08.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქსნისა და ფეიქრების ქუჩების გადაკვეთაზე, (ნაკვ. 39/009) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ორგანიზაცია:

- ბიჯი ჯგუფი კოდი: 200268021

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 03.04.2013 წ. #603925 გადაწყვეტილებითდამტკიცებულისამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისადადამატების შეტანის თაობაზე

შპს „ქსანი“–ს რწმუნებულმა მოქ. რევაზ ებრალიძემ 19.11.2013 წ. #AR1178702 განცხადებით მომართეს სამსახურს და მოითხოვეს სამსახურის 03.04.2013 წ. #603925 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტების დამატებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 03.04.2013 წ. ქ. თბილისში, ქსნისა და ფეიქრების ქუჩების გადაკვეთაზე არსებულ საკადასტრო ერთეულზე ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციის (ბენზინგასამართი და გაზგასამართი პუნქტები) მიზნით დამტკიცებული იქნა #603925 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 03.04.2013წ. #603925 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციასთან (ბენზინგასამართი და გაზგასამართი პუნქტები) ერთად სავაჭრო ობიექტის და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის (ავტოსამრეცხო ბოქსები) დაფიქსირებას.
სამსახურის 03.04.2013 წ. #603925 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 (სსზ–1) პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სადაც "ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონალური ნებართვით შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ფუნქციების დამატება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 03.04.2013 წ. #603925 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტების დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2013წ. #603925 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში დაემატოს ახალი ობიექტი: ახალი სავაჭრო ობიექტი და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი (ავტოსამრეცხო ბოქსები);
2. შენიშვნის სახით დაფიქსირდეს: ზონისთვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო ობიექტის განთავსებისას პროექტით გათვალისწინებული იქნეს ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა, რომ მათთან მომსახურეობა არ აღიქმებოდეს ქუჩის მხრიდან;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.04.2013წ. #603925 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.